



პრეზიდენტი თომას ს. მონსონი

იგი აღსდგა!

ცარიელი აკლდამა, იმ აღდგომის დილით, ნიშნავდა იობის შეკითხვაზე პასუხს, „თუ მოკვდა კაცი, განა კვლავ იცოცხლებს?“

ეს იყო კონფერენციის შესანიშნავი სესია. მათვის ვინც მიიღეს მასში მონაწილეობა სიტყვით გამოსვლით თუ მუსიკით, როგორც ეკლესიის პრეზიდენტმა გადავწყვიტე ვთქვა მხოლოდ ერთი სიტყვა რომელიც ცნობილია როგორც ყველაზე მთავარი სიტყვა ინგლისურ ენაში. და, ჩერის ასევე მის მრჩეველებს, მგალობელთა გუნდს, მუსიკოსებს და სიტყვით გამომსვლებს, ეს სიტყვა „გმადლობთ.“

მრავალი წლის წინ, ვეწვიე ინგლისში, ლონდონის სახელგანთქმულ ტეიტ არტ გალერეას, სადაც ერთიმეორეს მიყოლებით ოთახებში, გამოფენილი იყო გეინსბოროუს, რემბრანტის, კონსტებელის და სხვა ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრები. მე ვიყავი აღტაცებული მათი სილამაზით და დავაფასე თუ რამხელა ტალანტი და ცოდნა არის საჭირო

ამ შედეგების შესაქმნელად. მიუხედავად ამისა მესამე სართულის მიყრუებულ კუთხეში იყო ნახატი რომელმაც არა მარტო მიიქცია ჩემი ყურადღება ასევე დაიპყრო ჩემი გულიც. მხატვარი ფრანკ ბრემლის ნამუშევარი, რომელმაც გამოსახული იყო მოკრძალებული ქოხი აღელვებული გღვის პირას. ორი ქალი, გღვაში გასული მეთევზეს დედა და მეუღლე, რომლებმაც მთელი ღამე თეთრად გაათენეს მისი დაბრუნების ლოდინში.

აი, ღამემ ჩაიარა და მიხვდნენ, რომ ის გღვაში დაიკარგა და არ დაბრუნდება. მუხლებზე დაჩოქილი მოხუცი დედამთილის კალთაში თავჩარგული, ახალგაზრდა ქალი სასოწარკვეთილი ტირის. ფანჯარაზე შანდალში ჩამწვარი სანთელი მოგვითხრობს, ამოდ თეთრად გათენებულ ღამეზე.

მე ვიგრძენი ახალგაზრდა ქალის გულის ტკივილი, ვიგრძენი დარ-

დი. ამ ბრწყინვალე ნამუშევარში რომელითაც მხატვარმა მოგვითხრო ტრაგიკული ისტორია. მასში იკითხებოდა, უიმედო განთიადი.

ო, როგორ სურდა ახალგაზრდა ქალს ნუგეში, ჭეშმარიტების ნაცვლად, რობერტ ლუის სტივენსონის „რეჟიემი“:

სახლშია მეზღვაური, გღვიდან დაბრუნებული და მონადირე სახლში, დაბრუნებული ტყიდან.¹

მოკვდავების ყველა ფაქტებიდან, არც ერთი არ არის ისეთი გარდაუვალი როგორც დასასრული. სიკვდილი ყველასთან მოდის, ის არის ჩვენი „საყოველთაო მემკვიდრეობა, მან შეიძლება მსხვერპლად მოითხოვოს პატარა ბავშვი ან ახალგაზრდა, ის შეიძლება ეწვიოს სიცოცხლის აყვავებისას ან მან გადადოს მასთან შეხვედრა ღრმა სიბერემდე, ის შეიძლება მოგვევლინოს ავადმყოფობის, უბედური შემთხვევის შედეგად ან ბუნებრივი მიზეზების გამო, მაგრამ ის აუცილებლად უნდა მოვიდეს.“² ის აუცილებლად გვაძლევს მტკივნეული დანაკარგის გრძნობებს, განსაკუთრებულად ახალგაზრდებში, დამანგრეველი დარტყმა, ოცნებებზე რომელიც აღარ ახდება, მიუღწეველი მიზნები და დაქცეული იმედები.

რომელი მოკვდავი რომელსაც გადაუტანია, საყვარელი ახლობლის დანაკარგი და შემდეგ, უსასრულობის მღურბლზე მდგომი, არ დაფიქრებულა, თუ რა არის იმ ფარდის უკან რომელიც ყოფს ხილულს უხილავისაგან?

საუკუნების წინ კაცი სახელად იობი, უხვად დალოცვილი ყველა მატერიალური სიმდიდრით, თავს გადახდა ყველაფერი რაც შეიძლება ადამიანს დაემართოს, იჯდა მის ამხანაგებთან და დასვა ყოველი დროის და საუკუნების კითხვა, „თუ მოკვდა კაცი, განა კვლავ იცოცხლებს?“³ იობმა სთქვა ის, რაზეც ოდესმე ყველა ცოცხალი კაცს ან ქალს უფიქრია.

ამ შესანიშნავ აღდგომის დილას მე მინდა განვიხილო იობის კითხვა: „თუ მოკვდა კაცი, განა კვლავ იცოცხლებს?“ და გავცემ პასუხს რომელიც მოდის არა მარტო ღრმად გააზრებული განხილვების შედეგად ასევე ღმერთის მიერ ნათქვამი სიტყვებიდანაც. მე დავიწყებ დედაარსით.

თუ ამ მსოფლიოში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ არის შექმნილი, მაშინ უნდა იყოს შემქმნელი. ვინმეს თუ შეუძლია დაინახოს სამყაროს საოცრებები და არ დაიჯეროს, რომ ის არის შექმნილი კაცობრიობისთვის? და ვის შეუძლია უარყოს, რომ არსებობს შემქმნელი?

ბიბლიაში დაბადების წიგნში ჩვენ ვსწავლობთ, რომ დიდმა შემქმნელმა შექმნა გეცა და მიწა, „მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იდო უფსკრულზე და სული ღვთისა იძვროდა წყლებს გემოთ.“

„იყოს ნათელი,“ სთქვა დიდმა შემქმნელმა: „და იქმნა ნათელი.“ მან შექმნა ცა. განაცალკევა წყლები მიწისაგან და სთქვა: „აღმოაცენოს მიწამ მცენარეული — ბალახი, . . . ხე ნაყოფიერი, თესლოვანი ნაყოფის მომტანი მიწაზე თავისი გვარისდა მიხედვით.“

მან შექმნა ორი მანათობელი,

მზე და მთვარე. მის მიერ შექმნილმა ვარსკლავებმაც გაანათეს გეცა. მან შექმნა ცოცხალი არსებები წყალში და ფრთოსნები ცაში. ეს იყო ასე, მან შექმნა პირუტყვი, მხეცები და ქვეწარმავლები. ქმნილება თითქმის დასრულებული იყო.

ყველაზე ბოლოს, მან შექმნა ადამიანი მის სახედ, კაცი და ქალი რომლებიც უნდა ყოფილიყვნენ მართველები ყველა ცოცხლის.⁴

მხოლოდ ადამიანმა მიიღო ინტელექტი, ტვინი, გონება და სული. მხოლოდ ადამიანს შეეძლო ამ თვისებებით ჰქონოდა რწმენა და იმედი, შთაგონებისათვის და ამბიციისათვის.

ვის შეუძლია უარყოს, რომ ადამიანი — ყველაზე კეთილშობილი ქმნილება რომელიც არის გაჩენილი დიდი შემქმნელის მიერ, ადამიანი რომელიც მეფობს ყველა სხვა ცოცხალ არსებაზე, ტვინით და ნებისყოფით, გონებით და სულით, ინტელექტით და ღვთაებრიობით, უნდა დასრულებული იყოს, როდესაც სული დატოვებს მის ამქვეყნიურ ტაძარს?

რომ ჩავწვდეთ სიკვდილის ამრს უნდა გავიგოთ და დავაფასოთ სიცოცხლის მიზანი. რწმენის მკრთალი შუქი უნდა გარდაიქმნას, შუადღის მზის შუქის სიკაშკაშის გამოცხადებაში, რომლითაც ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ვცხოვრობდით სანამ ამქვეყნად დავიბადებოდით. ჩვენი წინამიწიერი არსებობისას, ჩვენ უეჭოდ ვიყავით ღმერთის შვილები და ქალიშვილები, რომლებმაც ხმამაღლა შესძახეს სიხარულით, შესაძლებლობისათვის, რომ მოსულიყვნენ ამ რთულ,

მაგრამ აუცილებელ მოკვდავ არსებობაში.⁵ ჩვენ ვიცოდით, რომ ჩვენი მიზანი იყო ფიზიკური სხეულის მიღება, წინააღმდეგობების გადალახვა და იმის დამტკიცება, რომ დავიცავთ ღმერთის მცნებებს. ჩვენმა მამამ იცოდა, მოკვდავი ამქვეყნიური ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ ავყვებით ცდუნებებს, შევცოდავთ და შევცდებით. იმისათვის, რომ გვქონოდა წარმატებისათვის ყველა პირობა, მან ჩვენთვის მოავლინა მხსნელი, რომელიც ჩვენთვის დაიტანჯებოდა და მოკვდებოდა. არა მარტო გამოსიყიდა ჩვენ ცოდვებს, ასევე დაამარცხებდა ფიზიკურ სიკვდილს, რომელიც გვერგო ადამის დაცემის შედეგად.

ამგვარად 2,000 წელზე მეტი ხნის წინ, ქრისტე, ჩვენი მხსნელი დაიბადა, ამქვეყნიურ მოკვდავად, ბეთლემში. მოვიდა, დიდი ხნის ნაწინასწარმეტყველები მესია.

ცოტა ჩანაწერები არის გაკეთებული იესოს ყმაწვილობის შესახებ. მე მიყვარს ციტატა ლუკას სახარებიდან: „ხოლო იესოს ემატებოდა სიბრძნე და ასაკი და მადლი ღმერთისა და კაცთა წინაშე.“⁶ და მოციქულთა საქმენის წიგნში არის პატარა ფრაზა რომელიც არის მხსნელის შესახებ და აქვს დიდი მნიშვნელობა „დადიოდა, ქველმოქმედებდა.“⁷

ის მოინათლა იორდანის მდინარეში, იოანეს მიერ. მან მოუწოდა თორმეტ მოციქულს. აკურთხა ავადმყოფები. მან მისცა, კოჭლს სიარულის, ბრმას ხედვის და ყრუს სმენის უნარი. მან მკვდარსაც კი, დაუბრუნა სიცოცხლე. ის ასწავლიდა, იყო ჭეშმარიტების

მოწმე და გვაჩვენა სრულყოფილი მაგალითი, რომ მას მივყვეთ.

და შემდეგ მსოფლიოს მხსნელის ამქვეყნიური მისია მიუახლოვდა მის დასასრულს. ბოლო ნადიმი მის მოციქულებთან ერთად ჩაიარა მაღლივ ოთახში. წინ იყო გეთსიმანიის ბაღი და კალვარის ჯვარი.

ადამიანს არ შეუძლია მთლიანად გაიაზროს მნიშვნელობა იმისა რაც გააკეთა იესომ ჩვენთვის გეთსიმანიის ბაღში. მან შემდეგ აღწერა მის მიერ გადატანილი: „როგორი ტანჯვაც, რომ მე თვით ღმერთი, ყველაზე უდიადესი, ტკივილისაგან ავკანკალებულიყავი და დამელვრა სისხლი ყველაფორიდან, მეტანჯა სხეულით და სულით.“⁸

გეთსიმანიის აგონიის შემდეგ, ძალგამოცლილს, ჩაავლეს უხეში ხელები და მიიყვანეს ანას, კაიპას, პილატის და ჰეროდის წინ. ის იქ გაამტყუვნეს და დასცინეს. ბოროტად ცემამ კიდევ უფრო მოტეხა ტკივილით დაუსტებულ სხეული. სისხლი სახეზე წამოუვიდა, როდესაც თავზე ეკლებისაგან შეკრული გვირგვინი მწარედ უღმობლად დაადგეს და ეკლები ჩაარჭეს. შემდეგ კვლავ მიიყვანეს პილატთან, რომელმაც დაუთმო გააფრთხილებულ ბრბოს ყვირილს: „ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი იგი!“⁹

ის გარომგეს ტყავის მათრახით, რომლსაც წვრილი ძვლის და რკინის ეკლები ჰქონდა დამაგრებული წვერებზე. ტკივილისაგან დატანჯული დაუსტებული მუხლებით მას მიჰქონდა თავისი ჯვარი იქამდე, სანამ შეეძლო და

როდესაც ვეღარ შესძლო მხარში ამოუდგა სხვა, რათა შეემსუბუქებინა მისი ტანჯვა.

ბოლოს, გოლგოთას მთაზე, მისი უმწეო მიმდევრების თვალებზე, მისი დაჭრილი სხეული მიაჭედეს ჯვარს. მას უღმობლად დასცინოდნენ და ამცირებდნენ. მან მაინც შეჰღაღადა, „მამაო, მიუტევე ამათ, რადგანაც არ იციან, რას სჩადიან.“¹⁰

აგონიის საათებმა განვლო და ქრებოდა მისი სიცოცხლე. მისი გამშრალი ტუჩებიდან გაისმა სიტყვები, „მამაო, შენს ხელთ გაბარებ ჩემს სულს; და ამ სიტყვებით განუტევა სული.“¹¹

როგორც კი მოწყალე სიკვდილმა, სიმშვიდით და ნუგეშით გაანთავისუფლა მოკვდავების დარდისაგან, ის დაუბრუნდა მამამისს.

ბოლო წუთს მოძღვარს შეეძლო უკან დაეხია, მაგრამ მან ეს არ ჰქნა. მან ყველაფერი გადაიტანა იმისათვის, რომ ყველაფერი გადაერჩინა. მისი უსიცოცხლო სხეული ნაჩქარევად და ფრთხილად დაასვენეს სხვის აკლდამაში.

ქრისტიანობაში არ არის ჩემთვის ამაზე მნიშვნელოვანი სიტყვები, რომელიც ანგელოზმა უთხრა მომტირალ მარია მაგდალენს და მეორე მარიამს, როდესაც კვირის პირველ დღეს, ისინი მივიდნენ აკლდამასთან, იმისათვის, რომ უფალის სხეულისათვის მოევლოთ. ანგელოზმა უთხრა:

„რად ეძებთ ცოცხალს მკვდრებს შორის.“

„აქ აღარ არის, არამედ აღსდგა.“¹² ჩვენი მხსნელი კვლავ ცოცხალი იყო. კაცობრიობის ისტორიაში

ყველაზე ბრწყინვალე, დამამშვიდებელი და დამარწმუნებელი რამ მოხდა – სიკვდილზე გამარჯვება. გეთსიმანიის და გოლგოთის ტკივილი და აგონია გაიწმინდა. კაცობრიობის ხსნა აღსრულდა. ადამის დაცემა გამოსწორებულ იქნა.

ცარიელი აკლდამა აღდგომის იმ დილას იყო პასუხი იობის კითხვაზე, „თუ მოკვდა კაცი, განაკვლავ იცოცხლებს?“ მთელი ჩემი სულით და გულით მე ვაცხადებ, როცა ადამიანი კვდება, ის ცოცხლდება. ჩვენ ეს ვიცით იმიტომ, რომ გვაქვს შუქი გამოცხადებული ჭეშმარიტებისა.

„ვინაიდან როგორც კაცის მიერ იქმნა სიკვდილი, ასევე კაცის მიერ - მკვდრეთით აღდგომაც.“

„და როგორც ადამში კვდება იყველანი, ისე ქრისტეში იცოცხლებს ყველა.“¹³

მე წავიკითხე და მწამს მათი დამოწმებების, რომლებმაც იხილეს ქრისტეს ტანჯვა ჯვარცმა და მისი აღდგომის სიხარული. მე წავიკითხე და მწამს, მათი დამოწმებების რომლებსაც ამერიკის კონტინენტზე, ეწვიათ იგივე აღმდგარი უფალი.

მე მწამს მისი დამოწმების, რომელმაც ამ წყობისას ესაუბრა მამას და მის ძეს, ტყეში რომელსაც დღეს ეწოდება წმინდა და რომელმაც დაღვარა სისხლი რათა დაემტკიცებინა მისი დამოწმება. მან სთქვა:

„და ახლა, ამდენი დამოწმებების შემდეგ რომელიც მასზე ითქვა, ეს არის დამოწმება უკანასკნელი, რომელსაც მასზე ვამბობთ, რომ ის ცოცხალია!

რადგან ის ჩვენ ვიხილეთ,

ღმერთის მარჯვნივ და ჩვენ მოვისმინეთ ხმა რომელმაც გვაუწყა, რომ ის არის მამის მხოლოდ-შობილი ძე.”¹⁴

სიკვდილის ბნელეთი ყოველთვის შეიძლება გაიფანტოს ნათქვამი ჭეშმარიტების შუქით. „მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე,” სთქვა მოძღვარმა.¹⁵ „მშვიდობას გიტოვებთ თქვენთან, ჩემს მშვიდობას გაძლევთ თქვენ.”¹⁶

წლების განმავლობაში მე მსმენია და წამიკითხავს უამრავი დამოწმებები, რომელთა დათვლა შეუძლებელია, რომლებიც გამიზიარეს ადამიანებმა რომლებიც ამოწმებდნენ აღდგომის ჭეშმარიტებას და რომლებმაც, გაჭირვების უამს მიიღეს, მხსნელის მიერ დაპირებული მშვიდობა და ნუგეში.

მე გავიხსენებ ერთერთ ასეთ ამბავს. ორი კვირის წინ მე მივიღე გულისამაჩუყებელი წერილი შვიდი შვილის მამისაგან, რომელმაც მომწერა თავის ოჯახზე და კერძოდ მის შვილ ჯეისონზე, რომელიც 11 წლის ასაკში გახდა ავად. რამოდენიმე წლის შემდეგ ჯეისონის დაავადებამ იჩინა თავი რამოდენიმეჯერ. მამამისმა მომი-თხრო ჯეისონის კეთილი და სიცოცხლით აღსავსე ხასიათის შესახებ, მისი ავადმყოფობის სირთულეების მიუხედავად. ჯეისონმა მიიღო აარონის მღვდლობა 12 წლის და „ყოველთვის ბეჯითად და სრულყოფილად ასრულებდა მის ვალდებულებებს, მიუხედავად იმისა გრძნობდა თავს კარგად თუ არა.” მან მიიღო არწივის სკაუტის ტიტული როდესაც იყო 14 წლის.

გასულ მაგზულს, ჯეისონის 15 წლის დაბადების დღის შემდეგ, ის კვლავ წაიყვანეს სავაადმყოფოში. იქ სანახავად მისულმა მამამისმა, ჯეისონი ის იხილა თვალზე დახუჭული. მამამ არ იცოდა მას ეძინა თუ არა და მან ნაზად დაელაპარაკა, „ჯეისონ,” მან უთხრა, „მე ვიცი ბევრი გადაიტანე შენს მოკლე ცხოვრებაში და შენი ახლანდელი მდგომარეობაც მძიმეა. მიუხედავად იმისა, რომ წინ დიდი ბრძოლა გელის, მე არ მინდა, რომ ოდესმე დაკარგო შენი რწმენა იესო ქრისტეში.” მამამისმა თქვა თუ როგორ იყო გაცებული, როდესაც ჯეისონმა გაახილა თვალები და სთქვა „არასდროს!” მტკიცე ხმით. ჯეისონმა დახუჭა თვალები და მეტი აღარ უთქვია არაფერი.

მამამისმა მომწერა: „ამ უბრალო სიტყვით, ჯეისონმა გამოხატა, იესო ქრისტეს ერთერთი ყველაზე ძლიერი და წმინდა დამოწმება, რომელიც ოდესმე მომისმენია. როდესაც მან სთქვა, არასდროს! იმ დღიდან ეს ჩაიბეჭდა ჩემს გულში და ამივსო სიხარულით, რადგან მამაბეციერმა მაკურთხა ასეთი დიდებული და კეთილშობილი ბიჭის მამობით. უკანასკნელი, რაც მისგან მოვისმინე ეს იყო ქრისტეს დამოწმება.”

იმისდა მიუხედავად, რომ ჯეისონის ოჯახი ფიქრობდა, რომ ეს იქნებოდა მისი მორიგი ჰოსპიტალიზაცია, ორი კვირა არ იყო გასული, რომ ჯეისონი გარდაიცვალა. უფროსი ძმა და და, იმ დროს მსახურობდნენ მისიაში. კიდევ ერთ ძმას, კაილს სულ ახლახან ჰქონდა მისიაში

გაწვევის წერილი, ეს წერილი მოვიდა დროზე ადრე, 5 აგვისტოს, ჯეისონის გარდაცვალებიდან ერთი კვირით ადრე და ოჯახი შეიკრიბა სავაადმყოფოს მის პალატაში, იმისათვის, რომ კაილის მისიაში გაწვევის წერილი გაეხსნათ იქ, მთელი ოჯახის თანდასწრებით.

ჩემთვის გამოგზავნილ წერილში, მამამისმა მოაყოლა ჯეისონის ფოტოსურათი, სადაც იგი გადაღებული იყო სავაადმყოფოს ლოჯინში, თავის უფროსი ძმა კაილთან ერთად, რომელიც ლოჯინთან იდგა და მისიაში გასაწვევი წერილით ხელში. ფოტოსურათის ქვეშ იყო დაწერილი შემდეგი სიტყვები: „ერთად არიან გაწვეულები მისიაში, ფარდის ორივე მხარეს.”

ჯეისონის დამ, და ძმამ, რომლებიც უკვე მსახურობდნენ მისიაში, სახლში გამოგზავნეს მშვენიერი სამძიმარის წერილები, რომ ყველასთვის გაემიარებინათ ჯეისონის დასაფლავებისას. მისმა დამ, რომელიც მსახურობს არგენტინაში, დასავლეთ ბუენოს აირესის მისიაში, წერილში დაწერა: „მე ვიცი, რომ იესო ქრისტე ცოცხალია და რადგან ის ცოცხალია, ჩვენ ყველანი, ასევე საყვარელი ძმა ჯეისონიც, კვლავ ერთად ვიცხოვრებთ. ჩვენ შეგვიძლია გულდამშვიდებული ვიყოთ, რადგან ვიცი, რომ ტაძარში ერთად ვიყავით ჩაბეჭდილნი, როგორც მარადიული ოჯახი. თუ ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც შეგვიძლია, რომ ვიყოთ მორჩილნი და უკეთესები ამ ცხოვრებაში, ჩვენ

კვლავ ვიხილავთ მას.” ჯეისონის დამ ასევე დაწერა: „წმინდა წერილმა, რომელიც მე ასე ძალიან მიყვარდა ახლა მიიღო განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩემთვის. გამოცხადება თავი 21, ლექსი 4: 'შეაშრობს ღმერთი მათ თვალზე ცრემლს და აღარ იქნება სიკვდილი: აღარც გლოვა, აღარც ტირილი და ტანჯვა იქნება, რადგანაც გადაეგო ყოველივე უწინდელი.'”

ჩემო საყვარელო ძმებო და დე-ბო, ჩვენი ღრმა მწუხარების ჟამს, ჩვენ შეგვიძლია მოვიპოვოთ სრული მშვიდობა, ანგელოზების მიერ იმ აღდგომის დილას ნათქვამი სიტყვებით: „ის აქ აღარ არის, არამედ აღდგა.”¹⁷

*„იგი აღსდგა! იგი აღსდგა!
უთხარით ყველას სიხარულით
აღსავსე ხმით.
მან დააღწია თავი საპყრობილეს,
დაე მთელმა დედამიწამ იხაროს.*

*სიკვდილი დამარცხდა, ადამიანი
თავისუფალია.
ქრისტემ მოიპოვა გამარჯვება!”¹⁸*

როგორც მისი განსაკუთრებული მოწმე დღეს მსოფლიოში, ამ ბრწყინვალე აღდგომის კვირა დღეს, მე ვაცხადებ, რომ ეს არის ჭეშმარიტება, მისი წმინდა სახელით, იესო ქრისტეს, ჩვენი მხსნელის სახელით, ამინ.

შენიშვნები

1. რობერტ ლუის სტივენსონი, “Requiem,” in *An Anthology of Modern Verse*, ა. მეთუნის გამოცემა. (1921), 208.
2. James E. Talmage, *Jesus the Christ*, მე-3 გამოცემა. (1916), 20.
3. იოხი 14:14.
4. იხილეთ დაბადება 1:1–27.
5. იხილეთ იოხი 38:7.
6. ლუკა 2:52.
7. მოციქულთა საქმენი 10:38.
8. მოძღვრება და აღთქმები 19:18.
9. ლუკა 23:21.
10. ლუკა 23:34.
11. ლუკა 23:46.
12. ლუკა 24:5–6.
13. 1 კორინთიელებს 15:21–22.
14. მოძღვრება და აღთქმები 76:22–23.
15. იოანე 11:25.
16. იოანე 14:27.
17. მათე 28:6.
18. „იგი აღსდგა!” *საგალობლები*, 199.

ჩვენი დროების სწავლებები

მელქისედეკის მღვდლობის და ხსნის სამოგადოების გაკვეთილები თვის მეოთხე კვირა დღეს, უნდა მიეძღვნეს „ჩვენი დროების სწავლებებს.“ ყოველი გაკვეთილი უნდა იყოს მომზადებული ბოლო გენერალურ კონფერენციაზე, სიტყვით გამოსულთა ერთი ან რამოდენიმე მოხსენებით. პალოს და ოლქის პრეზიდენტებმა, უნდა ამოიჩიონ თუ რომელი მოხსენება იქნას გამოყენებული, ან ამაზე დანიშნონ პასუხისმგებლად ეპისკოპოსები და მრევლის პრეზიდენტები. წინამძღვარებმა უნდა გაამახვილონ ყურადღება, რომ მელქისედეკის სამღვდელოების ძმებმა და შვების სამოგადოების დებმა შეისწავლონ ერთი და იგივე სიტყვითი მოხსენებები, ერთი და იგივე კვირა დღეებში.

ისინი ვინც ესწრებიან მეოთხე კვირა დღის გაკვეთილებს სთხოვეთ, რომ სასწავლო კლასში გაკვეთილებზე თან იქონიონ და შეისწავლონ ბოლო კონფერენციისადმი მიძღვნილი უფრნალი.

წინადადებები, სიტყვით გამოსვლებიდან გაკვეთილების მოსამზადებლად

ილოცეთ, რომ სულიწმინდა თქვენთან იყოს როდესაც სწავლობთ და ასწავლით

კონფერენციის მოხსენებებს. თქვენ შეიძლება გაგიჩნდეთ ცდუნება გაკვეთილის მოსამზადებლად გამოიყენოთ სხვა მასალები, მაგრამ კონფერენციის მოხსენებები არის ნებადართული თემა. თქვენი დავალებაა, რომ დაეხმაროთ ადამიანებს შეისწავლონ და იცხოვრონ სახარებით როგორც ამას გვასწავლიან ეკლესიის ბოლო გენერალური კონფერენციაზე.

განიხილეთ მოხსენებები, მოძებნეთ ის პრინციპები და სწავლებები, რომლებიც შეესაბამება კლასის მოწაფეების მოთხოვნილებებს. ასევე მოიძიეთ ისტორიები, ციტატები წმინდა წერილებიდან და თემისები მოხსენებებიდან,


რაც თქვენ დაგეხმარებათ ამ ჭეშმარიტებების სწავლებაში.

შეადგინეთ გეგმა თუ როგორ ასწავლით პრინციპებს და მოძღვრებებს. თქვენს გეგმაში უნდა შედიოდეს შეკითხვები რომლებიც დაეხმარება კლასის მოწაფეებს:

- მოხსენებებში მოიძიეთ პრინციპები და მოძღვრებები.
- იფიქრეთ მათ მნიშვნელობაზე.
- გაუზიარეთ თუ როგორ გესმით მათი მნიშვნელობა, იდეები, გამოცდილება და დამოწმებები.
- დაეხმარეთ, რომ დაინახონ თუ როგორ შეუძლიათ გამოიყენონ ეს პრინციპები და მოძღვრებები მათ ცხოვრებაში.

თვეები	მეოთხე კვირის გაკვეთილის მასალები
მაისი 2010– ოქტომბერი 2010	კონფერენციის მოხსენებები გამოქვეყნებული 2010 წლის მაისის უფრნალი <i>Liahona</i> *
ნოემბერი 2010– აპრილი 2011	კონფერენციის მოხსენებები გამოქვეყნებული 2010 ნოემბრის უფრნალი <i>Liahona</i> *

*ეს სიტყვითი მოხსენებები შეგიძლიათ მოიძიოთ (მრავალ ენებზე ნათარგმნი) ვებგვერდზე conference.lds.org.



პრეზიდენტი პერი ბ. აირინგი
პირველ პრეზიდენტთა პირველი მრჩეველი

დაეხმარეთ, რომ მათ იპოვონ სახლისაკენ გზა

ჩვენ ყველაზე უკეთესად ვეხმარებით ღმერთის შვილებს როდესაც მათ ვაძლევთ იესო ქრისტეს აღდგენილ სახარებაში, რწმენის განვითარების საშუალებას, მათი ახალგაზრდობის დროს.

დ მეზო და დებო, ჩვენს მამამე-ციერს სურს და სჭირდება ჩვენი დახმარება რათა მისი სულიერი შვილები დავაბრუნოთ სახლში მასთან. მე ვლავარაკობ დღეს, ახალგაზრდობზე, რომლებიც უკვე არიან მის ჭეშმარიტ ეკლესიაში და რომლებიც დაადგნენ ვიწრო და სწორ გზას, მათი მეციურ სახლში დასაბრუნებლად. მას უნდა, რომ ახალგაზრდებმა ადრიდანვე მოიკრიბონ სულიერი ძალები, რათა დარჩნენ სწორ გზაზე. მამამეციერს სჭირდება ჩვენი დახმარება რათა ისინი დავაბრუნოთ ბილიკზე თუკი ასცდებიან და დაიწყებენ ხეტიალს.

მე ვიყავი ახალგაზრდა ეპისკოპოსი როდესაც ნათლად დავინახე თუ რატომ უნდა უფალს, რომ

განვამტკიცოთ შვილები როდესაც ისინი ახალგაზრდები არიან და საჩქაროდ გადავარჩინოთ. მე მოგიყვებით ერთ ამბავს ახალგაზრდაზე, რომელიც წარმოადგენს ბევრ მათგანს რომლებსაც ვცდილობდი დავხმარებოდი წლების განმავლობაში.

ახალგაზრდა გოგო იჯდა მაგიდის წინ, ეპისკოპოსის კაბინეტში. მან მომიხრო მისი ცხოვრების შესახებ. ის იყო მონათლული და წევრად დამტკიცებული, როდესაც იყო რვა წლის. მას არ ჰქონდა აცრემლიანებული თვალები როდესაც იხსენებდა განვილ 20 წელს, მაგრამ მის ხმაში იგრძნობოდა სევდა. ახალგაზრდა ქალმა მომიყვა, რომ მისი დაღმა სვლა დაიწყო, როდესაც ის

ირჩევდა არასწორ ადამიანებთან ურთიერთობას, რომლებიც მისი ამრით საინტერესონი იყვნენ. მან დაიწყო დარღვევა მცნებების რომლებიც თითქოს იყვნენ მისი ამრით ნაკლებად მნიშვნელოვანი.

თავიდან მან იგრძნო პატარა მწუხარება და დანაშაულის შეგრძნება, მაგრამ მის ახალ მეგობრებთან ურთიერთობამ მოიტანა ახალი გრძნობები, მათი მხრიდან სიმპათიის გამო, ასე რომ დროთა განმავლობაში მონანიების მოთხოვნილება მისთვის გახდა სულ უფრო და უფრო უმნიშვნელო. როდესაც მის მიერ დარღვეული მცნებების სიმძიმის ძალა იზრდებოდა, მარადიული ბედნიერი სახლის ოცნება უკვე თითქოს ჩაქვრა.

ის იჯდა ჩემს მოპირდაპირე მხარეს რასაც თვითონ უწოდა უბედურება. მას უნდოდა იმ ცოდვის ხაფანგიდან თავის დაღწევაში დაეხმარებოდი, რომელშიც თვითონ გაება. მაგრამ ერთადერთი გზა იქიდან თავის დასაღწევად, ეს არის იესო ქრისტეში რწმენის განვითარება, დამწუხრებული გული, მონანიება, ამით განწმენდა, გარდაქმნა და უფალის გამოსყიდვით განმტკიცება. მე გავუზიარე ჩემი დამოწმება, რომ ეს კიდევ იყო შესაძლებელი. ასეც მოხდა, მაგრამ ეს ბევრად უფრო ძნელი იყო, ვიდრე მანამდე ცხოვრებაში, რომ გაეგრძელებინა რწმენით მოღვაწეობა, სახლისაკენ, ღმერთთან დასაბრუნებელ გზაზე მოგზაურობა საიდანაც ის პირველად ასცდა გზას.

ღმერთის შვილებს ყველაზე საუკეთესოდ ჩვენ ვეხმარებით, როდესაც მათ ახალგაზრდობიდანვე ვაძლევთ იესო ქრისტეს,

აღდგენილი სახარებაში რწმენის განვითარების საშუალებას. შემდეგ კი, მათ უნდა დავეხმაროთ რწმენის განახლებაში, სანამ ის მათ არ ჩაუქვრათ და საბოლოოდ არ ასცდნენ გმას.

ამგვარად, ჩვენ შეგიძლია გვქონდეს უამრავი შესაძლებლობა იმისათვის რათა დავეხმაროთ მოგზაურ ღმერთის შვილებს. მხსნელმა გვითხრა თუ რატომ გვექნება ასეთი მრავალი შესაძლებლობები, როდესაც ის აღწერს ღმერთის სულიერი შვილების მოგზაურობას სახლისაკენ, გზაზე ნისლიანი ბურუსის გავლით, რომელიც შექმნა ცოდვამ და სატანამ:

„შედით ვიწრო ბჭით, ვინაიდან ვრცელია ბჭე და ფართოა გზა, რომელსაც მივყავართ წარსაწყმედლად, და მრავალნი დადიან მასზე,

ვინაიდან ვიწროა ბჭე და ძნელია გზა, რომელსაც მივყავართ სიცოცხლისაკენ, და მცირედნი ჰპოვებენ მას.“¹

რადგან სიყვარულით აღსავსე მამაბეციერმა წინასწარ იცოდა, თუ რა დასჭირდებოდათ მის შვილებს, მათ გზაზე მან მისცა მიმართულებები და მაშველები. მან მოავლინა მისი ძე, იესო ქრისტე, იმისათვის, რათა დაუსახოს და აჩვენოს უსაფრთხო გზა. მან მოუწოდა მის წინასწარმეტყველად, თომას ს. მონსონს ჩვენ დროში, მისი ახალგაზრდობიდანვე პრეზიდენტი მონსონი, ასწავლიდა არა მარტო თუ როგორ უნდა ვიაროთ სწორ გზაზე, ის ასწავლიდა თუ როგორ უნდა გადავარჩინოთ ისინი ვინც გმას ასცდა და ჩავარდნენ მწუხარებაში.

მამაბეციერმა ჩვენ დაგვნიშნა მრავალ და სხვადასხვანაირ ადგილებში იმისათვის, რომ გავამტკიცოთ და საჭიროებისამებრ წინ გავუძღვეთ მოგზაურებს, იმისათვის, რომ მოგზაურები მივიყვანოთ უსაფრთხო ადგილზე. ჩვენი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და უმთავრესი დანიშნულება არის ჩვენს ოჯახში. ისინი არიან მნიშვნელოვანი, რადგან ოჯახს აქვს შესაძლებლობა ბავშვის ცხოვრების დასაწყისიდანვე ის მტკიცედ დააყენოს სახლისაკენ გზაზე. მშობლები, ძმები და დები, ბაბუები და ბებიები, დეიდები და ბიძები არიან უძლიერესი გამამკვლევები და მხსნელები, იმ სიყვარულის გამო, რაც არის ოჯახის ბუნებრივი თვისება.

ოჯახს აქვს უპირატესობა ბავშვის ცხოვრების, პირველ რვა წელს. მისი ცხოვრების ამ დაცულ წლებში, იესო ქრისტეს გამოსყიდვის გამო, სატანას არ შეუძლია გამოიყენოს თავისი ბნელი ძალები, რომ ბავშვს დაუშალოს სახლში მისასვლელი გზა. ამ ძვირფას წლებში უფალი ეხმარება ოჯახებს იმით, რომ მოუწოდებს დამწყები კლასების მასწავლებლებს, რათა ბავშვები სულიერად განამტკიცოს. ის ასევე აძლევს საშუალებას აარონის მღვდლობის მფლობელებს, ბიარების მიტანაში მიიღონ მონაწილეობა. ბიარების ლოცვებში, ბავშვებს ესმით დაპირება, რომ მათ შეუძლიათ ერთ დღეს სულიწმინდა მიიღონ გამამკვლევად თუ ისინი იქნებიან ღმერთის მცნებებისადმი მორჩილები. ამის

შედეგად ისინი არიან სულიერად გამაგრებულები, რომ გაუძლონ ცდუნებას საჭირო დროს და მომავალში თუ საჭირო იქნა, უშველონ სხვებს.

ბევრი ეპისკოპოსები ეკლესიაში შთაგონებულები არიან, რომ მოუწოდონ მრევლში ყველაზე ძლიერ ადამიანებს, რათა მათ ემსახურონ ბავშვებს დამწყებ კლასში. მათ ესმით, თუ ბავშვები არიან განმტკიცებულნი რწმენით და დამოწმებით, მოზარდობის ასაკში მათ ნაკლებად შესაძლებელია, რომ დასჭირდეთ გადარჩენა. მათ ესმით, რომ მტკიცე სულიერი საფუძველს შეუძლია ცხოვრებაში დიდი ცვლილებები შეიტანოს.

ყველა ჩვენგანს შეგიძლია დავეხმაროთ. ბებიები, ბაბუები, ყოველი წევრი რომელიც ბავშვს იცნობს, შეუძლია გაუწიოს დახმარება. ეს არ შემოიფარგლება დამწყები კლასის მასწავლებლის მოწოდებით, ან წლოვანებით. ერთი ასეთი ქალბატონი, როგორც ახალგაზრდა დაეხმარა, დამწყები კლასის საერთო საბჭოზე, რომ შეექმნათ CTR (გააკეთე სწორი არჩევანი) დევიზი.

ის არასდროს იღლებოდა ბავშვების სამსახურით. საკუთარი თხოვნით ასწავლიდა მრევლის დამწყებ კლასში, იქამდე, სანამ არ გახდა თითქმის 90 წლის. პატარა ბავშვები გრძნობდნენ მათ მიმართ სიყვარულს. ისინი ხედავდნენ მის მაგალითს. მათ ისწავლეს მისგან იესო ქრისტეს სახარების უბრალო პრინციპები. პირველ რიგში, მისი პირადი მაგალითით მათ ისწავლეს სულიწმინდის გრძნობა

და ცნობა. როდესაც მათ ეს შესძლეს, ისინი კარგად იდგნენ რწმენის გზაზე, რომ გაეწიათ წინააღმდეგობა ცდუნებისათვის. მათ ალბათ არ დასჭირდებოდათ შველა და მზად იქნებოდნენ სხვებისათვის დასახმარებლად.

მე გავიაზრე უბრალო რწმენის ძალა ლოცვაში და სულიწმინდაში ჩვენი ბავშვების პატარაობისას. ჩვენი უფროსი შვილი ჯერ არ იყო მონათლული. მშობლები, დამწყები კლასის მასწავლებლები და მღვდლობის მსახურნი შეეცადნენ, დახმარებოდნენ მას, რომ ეგრძნო და ეცნო სული და მიეღო მისგან დახმარება.

ერთ საღამოს ჩემმა მეუღლემ ბავშვი წაიყვანა სტუმრად სახლში ერთ ქალბატონთან რომელიც ასწავლიდა მას კითხვას. ჩვენ შეთანხმებულები ვიყავით, რომ ბავშვს უკან სახლში მე მოვიყვანდი სამსახურიდან უკან გზაზე.

ბავშვს გაკვეთილი დაუმთავრდა უფრო ადრე ვიდრე იყო დაგეგმილი. იგი დარწმუნებული იყო, რომ უკან სახლში დაბრუნდებოდა თავისით. ასე რომ ფეხით წამოვიდა სახლში. მოგვიანებით მან მითხრა, რომ მოსწონდა სახლში მართოდ წასვლის იდეა. როდესაც მან გაიარა ნახევარი მილი (0.8 კმ), ჩამოდგა ბინდი და იგრძნო, რომ ჯერ ძალიან შორს იყო სახლიდან.

მას ახლაც ახსოვს შემხვედრი მანქანების შუქები, რომლებიც მის ცრემლებს ანათებდნენ სიბნელეში. მან თავი იგრძნო როგორც პატარა ბავშვი და არა თავდაჯერებული ბიჭი, რომელმაც

გადაწყვიტა თავისით მართო წასულიყო სახლში. ის მიხვდა, რომ სჭირდებოდა დახმარება, შემდეგ, რაღაც გაახსენდა, მან იცოდა, რომ ალბათ უნდა ელოცა. ასე რომ ბავშვმა გადაუხვია გზიდან და გაემართა ხეებისაკენ, ის სიბნელეში ძლივს ხედავდა, მან იპოვა ადგილი, რომ დაჩოქილიყო და ელოცა.

ბუჩქებში მას ესმოდა ორი ადამიანის ხმა, რომელიც მისკენ მოდიოდნენ. ორ ახალგაზრდას მოესმათ მისი ტირილი. როდესაც მიუახლოვდნენ შეეკითხნენ, „რითი შეგვიძლია დაგეხმაროთ?“ სახეზე ცრემლებით მან უთხრა, რომ დაიკარგა და სახლში უნდოდა წასვლა. მათ შეეკითხნენ იცოდა თუ არა სახლის ტელეფონის ნომერი ან მისამართი. მან არ იცოდა. შემდეგ სახელი ჰკითხეს, მან ეს იცოდა. მათ ის მიიყვანეს ახლო ადგილას, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. შემდეგ იპოვეს ჩვენი გვარი ტელეფონის ცნობარში.

როდესაც დამირეკეს, მე დაუყოვნებლივ გავემუხრე საშველად, მაღლიერების გრძნობით აღსავსე, რომ კეთილი ადამიანები შეხვდნენ მას სახლისაკენ მიმავალ გზაზე. უფრო მეტად ბედნიერი ვიყავი, რომ მას ასწავლეს რწმენით ლოცვა და ის რომ მას უშველიდნენ, როდესაც დაიკარგებოდა. ამ რწმენამ მიიყვანა ის უსაფრთხო ადგილას და მოავლინა მისთვის უფრო მეტი მაშველები უფრო მეტჯერ ვიდრე ოდესმე დაითვლის.

უფალმა მის სამეფოში შეჰქმნა ხსნის გეგმა და მაშველები. მისი სიბრძნით უფალმა შთააგონა, მისი მსახურები გამოხახონ, ყველაზე

საუკეთესო გზები, რომ ჩვენ გაგვაძლიერონ და მოავლინონ საუკეთესო მაშველები ჩვენი ცხოვრების ყმაწვილობის წლებში დროს.

თქვენ იცით ორი ძლიერი პროგრამის შესახებ რომელიც მოგვცა უფალმა. ერთი, ახალგაზრდა ქალებისათვის რომელსაც ჰქვია პირადი განვითარება. მეორე, აარონის მღვდლობის მფლობელთათვის, რომელსაც ჰქვია ღმერთის წინაშე მოვალეობა. ჩვენ მოვუწოდებთ ახალგაზრდებს, მომარდობის ასაკში, რომ მათ დაინახონ თავიანთი პოტენციალი იმისათვის, რათა მოიკრიბონ დიდი სულიერი ძალა. ჩვენ ვთხოვთ მათ ვინც ბრუნავს ახალგაზრდებზე, რომ იყვნენ სათანადო დონეზე, როგორც უფალი მოითხოვს ჩვენგან, რათა მათ დავეხმაროთ. ეს არის ყველა ჩვენგანის საბრუნავი, რადგან ეკლესიის მომავალი არის მათზე დამოკიდებული.

ეს ორი პროგრამა გაუმჯობესდა, მაგრამ მათი მიზანი არის უცვლელი. პრეზიდენტმა მონსონმა განგვიმარტა: ჩვენ უნდა „ვისწავლოთ რაც უნდა ვისწავლოთ, ვაკეთოთ ის რაც უნდა ვაკეთოთ და ვიყოთ ის რაც უნდა ვიყოთ.“²

ბროშურა *Personal Progress* ახალგაზრდა ქალებისათვის ნათლად განმარტავს მის მიზანს: „პროგრამა პირადი განვითარება იყენებს, რვა ახალგაზრდა გოგოს ფასეულობებს იმისათვის, რომ უფრო ღრმად ჩასწვდეთ თუ ვინ ხართ, რატომ ხართ აქ დედამიწაზე და რა უნდა აკეთოთ, როგორც ღმერთის ქალიშვილი იმ

დღისათვის მოსამზადებლად, როდესაც შეხვალთ ტაძარში წმინდა ალექსანდრის დასადგებად.”

ის ასევე მოგვითხრობს, რომ ახალგაზრდა ქალი „აიღებს ვალდებულებებს, შეასრულებს მათ და მოუყვება მათი განვითარების შესახებ მშობელს ან წინამძღვარს.” ის ასევე გვპირდება, რომ „მიზნები, რომელსაც დაგეგმავთ პირადი განვითარების პროგრამის ფარგლებში, როგორც არის, ლოცვა, წმინდა წერილების შესწავლა, მოყვასისადმი სამსახური და დღიურის ჩაწერა, გახდებიან თქვენი ყოველდღიური ჩვევები. ეს ჩვევები გააძლიერებენ თქვენ დამოწმებას და დაეხმარებათ სწავლაში და განვითარებაში მთელი ცხოვრების მანძილზე.”³

პროგრამა ღმერთის წინაშე მოვალეობა ახალგაზრდა მამაკაცებისათვის აარონის მღვდლობაში გახდა უფრო ძლიერი და უფრო ფოკუსირებული. ის მოცემულია ერთ მარტივ წიგნში, სამივე მღვდლობის ოფისისათვის. ახალგაზრდა მამაკაცები და მათი წინამძღვარები მიიღებენ ამ ახალი წიგნის ასლებს. ეს არის ძლიერი ინსტრუმენტი. ის გააძლიერებს ახალგაზრდა მამაკაცების დამოწმებას და მათი ღმერთთან ურთიერთობას. წიგნი დაეხმარება მათ შეისწავლონ და აღასრულონ სამღვდლოებაში თავიანთი მოვალეობები. ის დაეხმარება მათ მშობლებთან, ქვორუმის წევრებთან და მათ წინამძღვარებთან ურთიერთობების განმტკიცებაში.

ორივე ეს პროგრამა ახალგაზრდებს, მათ ძალისხმევას

აკისრებს დიდ ვალდებულებებს. მათ მოეთხოვებათ ისწავლონ და აკეთონ ისეთი საქმეები, რაც რთული იქნება ნებისმიერისათვის. როგორც მახსენდება ჩემი ახალგაზრდობა, არ მახსოვს, რომ გადამელახოს ასეთი გამოცდა. ოჰ, რამოდენიმეჯერ მე მთხოვეს გამევილო ასეთი მძიმე გამოცდები, მაგრამ მხოლოდ დროგამოშვებით. ეს პროგრამები მოითხოვენ თანმიმდევრობას, დიდ ძალისხმევას და წლების განმავლობაში სულიერი ასევე მეცადინეობის გამოცდილებას.

როდესაც ვფიქრობ, მესმის, რომ ამ წიგნების შინაარსი არის უფალის ნდობის ფიზიკური გამოხატულება ახალგაზრდა თაობისადმი და ყველა ჩვენგანისადმი ვისაც ისინი გვიყვარს. მე მინახავს იმის მტკიცებულება, რომ ნდობას აქვს კარგი შესაძლებლობები.

სტუმრად ყოფნისას მე ვუყუარებდი აარონის მღვდლობის ქვორუმებს საქმეში. მე დავინახე ახალგაზრდა მამაკაცების სწავლების მსვლელობა, გეგმების შედგენისას რათა აკეთონ ის რასაც მათგან მოელის ღმერთი, შემდეგ საქმით შესრულება აღებული ვალდებულებების და სხვებისათვის გაზიარება თუ როგორ შეიცვალენ სულიერად. როდესაც ვუყუარებდი და ვუსმენდი, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ მამები, დედები, წინამძღვარები, მეგობრები და მრევლში მეგობრებიც კი აღელვებულები იყვნენ სულით, როდესაც ისინი უსმენდნენ ახალგაზრდების დამოწმებებს თუ როგორ იყვნენ სულიერად

გაძლიერებულნი. ახალგაზრდები იყვნენ ამაღლებულნი, როდესაც უზიარებდნენ დამოწმებებს და ასევე ისინიც ვინც დაეხმარა მათ ამაღლებაში.

ახალგაზრდა ქალიშვილთა პროგრამას აქვს ძლიერი შესაძლებლობა, რომ განავითაროს ახალგაზრდებში სულიერი ძალა და ჩვენ გვაძლევს შესაძლებლობას, რომ მათ დავეხმაროთ. პირადი განვითარება ეხმარება ახალგაზრდა ქალიშვილებს ტაძრის წესჩვეულებების მისაღებად. მათ ეხმარებათ, დედების, ბებიების და ეკლესიაში მათ ირგვლივ ყველა უბიწო ქალის მაგალითი. მე მინახია თუ როგორ დაეხმარნენ მშობლები ქალიშვილს რათა მას მიეღწია მის მიერ დასახული მიზნებისათვის და ოცნებებისათვის, მის მიერ გაკეთებული კეთილი საქმეების დანახვით და დაფასებით.

რამოდენიმე დღის წინ მე ვუყუარებდი ერთ დედას და მის ქალიშვილს, როდესაც ორივენი დედა და მისი ახალგაზრდა ქალიშვილი, ერთად სცნეს წარჩინებული ქალობის მაგალითად. როდესაც მათ გამოიზარეს თუ რას ნიშნავდა ეს მათთვის, მე ყოველი ჩვენგანისათვის ვიგრძენი უფალის მხარდაჭერა და თანადგომა.

ყველანაირი დახმარებიდან როგორც კი ჩვენ შეგვიძლია მივცეთ ამ ახალგაზრდებს, ყველაზე დიდი იქნება ის რომ მათ ვაგრძნობინოთ ჩვენი ნდობა, რომ ისინი არიან სახლისაკენ, ღმერთისაკენ მიმავალ სწორ გზაზე და მათ შეუძლიათ ის გაიარონ და ჩვენ ამას გავაკეთებთ

ყველაზე უკეთესად მათთან ერთად სვლით. რადგან ბილიკი არის ციცაბო და ხანდახან კლდიანი, ხანდახან ისინი იგრძნობენ უიმედობას და წაბორძიკდებიან კიდევაც. ხანდახან მათ შეიძლება აებნათ მიზანი და დაიწყონ ხეტიალი მარადიულობისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანი მიზნებისაკენ. ეს შთაგონებული პროგრამები ამცირებენ ამის ალბათობას, რადგან ისინი უძღვებიან ახალგაზრდა პიროვნებას, სულიწმინდის თანადგომის მიღებისაკენ.

ყველაზე საუკეთესო რჩევა, რაც შეგვიძლია მივცეთ ახალგაზრდებს არის ის, რომ მათ შეუძლიათ, უკან ღმერთთან დაბრუნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი გამამკვლევი და დამრიგებელი იქნება ღმერთის სული. ამიტომ, თუ ჩვენ ვართ გონიერები, ჩვენ წავახალისებთ, შევაქებთ და ვიქნებით მაგალითი ყველაფერში რასაც სულიწმინდის თანადგომას იწვევს. როდესაც ისინი გვიზიარებენ თუ რას აკეთებენ და გრძნობენ ჩვენ თვითონაც უნდა ვიყოთ ღირსეულები, სულიწმინდის თანადგომისათვის. ამის შემდეგ ისინი იგრძნობენ ჩვენ ქებაში და ღიმილში ღმერთისაგან

მოწონებას. როდესაც ვიგრძნობთ რჩევის მიცემის აუცილებლობას, ისინი იგრძნობენ ჩვენი და ღმერთის სიყვარულს მასში და არა საყვედურს და უარყოფას, რაც სატანას საშუალებას მისცემს, წაიყვანოს ისინი უფრო შორს.

თვალსაჩინო მაგალითი არის ის, რაც მათ ჩვენგან სჭირდებათ, ვაკეთოთ ის, რაც მათ უნდა აკეთონ. უნდა ვილოცოთ სულის ძღვენისათვის. უნდა ღრმად ვიფიქროთ წმინდა წერილებისა და ცოცხალი წინასწარმეტყველების სიტყვებზე. პასუხისმგებლად უნდა დავვცემოთ გეგმები რომლებიც არ იქნებიან მხოლოდ სურვილები და შემდეგ უნდა დავიცვათ უფლისადმი ჩვენი დაპირებები. ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ გამოსყიდვის კურთხევების გაზიარებით რომლებიც ჩვენ მივიღეთ ცხოვრებაში.

ჩვენი ცხოვრება უნდა გავხადოთ სამაგალითო, მყარი ერთგულებით, როგორსაც უფალი მოელის მათგან. როდესაც ჩვენ ამას ვაკეთებთ, ჩვენ მათ დავებმარებით სულით იგრძნობ, იმის დასტური, რომ თუ იქნებიან ურყევნი, შესძლებენ მწყალობელი მხსნელის და მამაბეციერის სიტყვებს: „კარგი, კეთილო და

ერთგულო მონავ, მცირედზე ერთგული იყავი, მრავალზე დაგაყენებ. შედი შენი ბატონის სახლში სიხარულში.“⁴ მათთან ერთად ჩვენ მათი ამ სიტყვებისაკენ გამამკვლევიც სიხარულით მოვისმენთ ამ სიტყვებს.

მე ვამოწმებ, რომ უფალს უყვარხართ და მას უყვარს ყოველი ღმერთის შვილი. ეს არის მისი სამეფო, აღდგენილი მღვდლობის გასაღებებით წინასწარმეტყველი იოსებ სმითის მეშვეობით. თომას ს. მონსონი არის ღმერთის წინასწარმეტყველი დღეს. მე ყოველ თქვენგანს ვპირდები, როდესაც თქვენ ამაში მიჰყვებით შთაგონების რჩევას, იესო ქრისტეს ჭეშმარიტ ეკლესიაში, რომ ჩვენი ახალგაზრდები და ჩვენ რომლებსაც ისინი გვიყვარს და ვებმარებით, ერთად შევძლოთ უსაფრთხოდ მისვლა ჩვენს სახლში, მამაბეციერთან და მხსნელთან, რომ ვიცხოვროთ ოჯახებში და ბედნიერად სამუდამოდ. იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

შენიშვნები

1. 3 ნეფი 14:13-14.
2. თომას ს. მონსონი, „To Learn, to Do, to Be,” *Liahona*, ნოემბერი. 2008, 67.
3. *Young Women Personal Progress* (ბუკლეტი, 2009), 6.
4. მეთე 25:21.